ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ზ. გამსახურდიას სანაპირო №1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

08 / ნოემბერი / 2023 წ.

KA020111366208323

№ **15/10765**

სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“

სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“

სსიპ "გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს"

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ წერილზე (15/10219 20.10.2023), რომელიც ეხებოდა სამინისტროს მიერ საქართველოს ენერეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის ანგარიშის წარდგენას, ასევე საჯარო განხილვებზე ვირტუალურად დასწრების ბმულების ცვლილების შესახებ წერილთან დაკავშირებით (15/10383 25.10.2023), დამატებით გაცნობებთ, რომ, საზოგადოებისთვის ეფექტიანი ინფორმირების მიზნით, სამინისტრომ შეცვალა პირველი საჯარო განხილვის თარიღი და ნაცვლად 1-ელი დეკემბრისა, საჯარო განხილვა გაიმართება 11 დეკემბერს.

- პირველი საჯარო განხილვა ჩატარდება მიმდინარე წლის 11 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა 1, ცენტრალური იუსტიციის სახლი, სართული III, შეხვედრების ოთახი N 301. შენობაში შემოსვლა შესაძლებელია თანამშრომელთა შემოსასვლელიდან, შენობის მარცხენა (დიდი პარკინგის) მხრიდან. შეხვედრა გაიმართება ჰიბრიდულ ფორმატში.
- მეორე საჯარო განხილვა ჩატარდება სრულად ვირტუალურ ფორმატში, მიმდინარე წლის 15 დეკემბერს.

უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრაზე დასასწრები ბმულები უცველად რჩება.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

რომეო მიქაუტაძე